საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1159

თბილისი „22“ 12 2017 წ

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის ,,მერმისი“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – საზოგადოებრივ კოლეჯად „მერმისი“ რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის N70/ნ ბრძანების მესამე მუხლით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ დირექტორის 2017 წლის 12 დეკემბრის N1523176 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 15 დეკემბრის N1544973 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 25 დეკემბრიდან 2018 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი